სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

თუ აირჩევ ბერძნულ-რომაულ ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას

შენ აღმოჩნდები აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის ერთ-ერთ წამყვან და აღიარებულ ელინისტიკის ცენტრში, რომელთანაც თანამშრომლობს საბერძნეთისა და კვიპროსის რესპუბლიკის განათლების, კულტურის და საგარეო საქმეთა სამინისტროები, ავტორიტეტული საგანმანათლებლო, სამეცნიერო და საქველმოქმედო ფონდები, ევროპის წამყვანი სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტები.

შენ შეძლებ:

- √ აირჩიო კლასიკური, ბიზანტიური ან ახალი ბერძნული ფილოლოგიის მოდულები/სპეციალობები და, არჩეული სპეციალობის შესაბამისად, სრულყოფილად შეისწავლო ძველი და ახალი ბერძნული ენა, ლათინური ენა, ანტიკური სამყაროს, ბიზანტიისა და თანამედროვე საბერძნეთის ლიტერატურა, ისტორია და ხელოვნება;
- √ ბიზანტიური და ახალი ბერძნული ფილოლოგიის მიმართულებით სწავლის და კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ისწავლო უფასოდ (ვარელასის და დავით ბეჟუაშვილის ფონდის დაფინანსებით);
- √ მიიღო ინსტიტუტის და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ დაწესებული სტიპენდიები, ჯილდოები, ვაუჩერები ან ფულადი პრიზები (ვარელასის ფონდი, ალექსანდრე ალექსიძის ფონდი, დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდი, თინათინ გიორგობიანის სახელობის სტიპენდია და სხვ.);
- √ ისარგებლო საზაფხულო სტაჟირებით, პრაქტიკით, პროგრამებით (მათ შორის ერაზმუს+) და სტიპენდიებით საბერძნეთისა და კვიპროსის რესპუბლიკაში, გერმანიაში, იტალიაში და სხვ.
- √ მიიღო უმაღლესი განათლება გამოცდილი და აღიარებული ლექტორების დახმარებით;
- √ სტუდენტობის პერიოდში განათავსო საკუთარი თარგმანები და სამეცნიერო სტატიები ინსტიტუტის პერიოდულ გამოცემებში;
- √ ისარგებლო ელინისტიკის და ლათინისტიკის ბიბლიოთეკის მდიდარი ფონდითა და ელექტრონული რესურსებით;
- √ მონაწილეობა მიიღო ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში, სტუდენტურ ღონისძიებებში, ანტიკური დრამის სპექტაკლებში, სამეცნიერო ექსპედიციებსა და საგანმანათლებლო ექსკურსიებში;
- √ მოუსმინო მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორებსა და მკვლევარებს, რომლებიც ინსტიტუტის ხშირი სტუმრები არიან;
- √ სურვილის შემთხვევაში, თესალონიკის არისტოტელეს სახელობის უნივერსიტეტის ბერძნული ენის ცენტრის პატრონაჟით, საქართველოში ჩააბარო ბერძნული ენის სასერტიფიკატო („ელინომათიის“) გამოცდები.

ჩვენი კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანი ელინისტები, მთარგმნელები, მასწავლებლები, ლექტორები, მეცნიერები, გამომცემლები, დიპლომატები, საჯარო მოხელეები, ნოვატორი სტარტაპერები, ინფლუენსერები და, ზოგადად, წარმატებული ადამიანები არიან.

ეს არ არის დაპირება. ეს რეალობაა.